სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., თ.-აზნაურთ ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დახავეკე მიმართავენ რედაქციას დილის 8 საათამდე და საღამოს 8—1 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

დაბ.-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

ხელ-პირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გაზეთი

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირს 4 მან. და 50 კ.,

**იოსებ იმედაშვილი ძმითურთ** აუწყებს მეგობართ, ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის დისას

ოლგა ზაქარიას ასულის ბურნაძისას.

გარდაცვალებული დასაფლავებულ იქმნება დღეს, 11 აპრილს, სახლიდან (მეორე ხევის ქუჩა, გოგიაშვილის სახლი, № 21) გაასვენებენ ნიკოლოზის (ვერის) ეკკლესიაში.

(2—2)

თავ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილების



ღვინის საწყობი

„იველითი"



რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე სახლი ანტონოვისა № 19.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამ ღღებში მივიღეთ:

ხორხელ-ყანაანიდან **სიკო აბელაშვილის** ღვინოები. ამასთანავე მივიღეთ:

იყალთოდან, რუისპირიდან და ახმეტიდან

მომავალი დღესასწაულების გამო მსყიდველებს დაეთმობათ შემცირებულ ფასებში.

ვინც ათს ბოთლს ერთად იყიდის

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| …0 კაპ. დაუთმობით | 25 კაპ. დაუთმობით | 30 კაპ. დაუთმობით | 40 კაპ დაუთმობით | 50 კ. დაუთმობით | 60 კ. დაუთმობით | 80 კ. დაუთმობით | 1 მან. დაუთმობით |
| …80 კ. | 2 მ. 20 კ. | 2 მ 50 კ. | 3 მ. 30 კ. | 4 მან. | 5 მან. | 6 მ 50 კ. | 7 მ. 50 კ. |

ამასთანავე ქართველ საზოგადოებისთვის შემოვიღეთ **გაუწურავი ღვინის** ყიდვა. იმედი გვაქვს ჩვენის ღვინოებით საზოგადოება კმაყოფილი დარჩება.

(6—2) პატივისცემით თავ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილები.

!!მ ი ა ქ ც ი ე თ  ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!!

გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში
ამ ცოტა ხანში გაიხსნება

ჩინეთის მაღაზია

ვინც ჩაის იყიდის იმას **ნობათად** მიეცემა რაიმე ნივთი. ვინც იყიდის 12 მან. ჩაის თუნდაც სხვა და სხვა დროს, 2 მან. იმას საჩუქრად მიეცემა ჩაის ჭურჭელი მოწყობილობა. (100—6)

სამკურნალო და ამბულატორია
**ბ. თოფურიასი**
ქუთაისში.

სამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობის,
სიფილისი,
ღამეღამ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. პ. ზერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. პ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

*Лечебница В. С. Топуріа* въ Кутаисѣ

ქართ.-შორ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. გამგეობამ მიიღო ბ-ნის გუბერნატორისაგან ნება-რთვა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ სახალხო სეირნობა საქველმოქმედო მიზნითურთ. სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს. ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას, თავის შემოწირულება უნდა გამოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21).

(3—2)

## ახალი ამბავი

*** **ქუთაისის ბანკის გამგეობა.** გუშინდელ „ნოვ. ობოზ."-ში ერთი უცნაური ამბავია დაბეჭდილი, ვითომც ბანკის მმართველად და გამგეობის თავმჯდომარედ დამდეგ ბანკის არჩევანებში უნდა დაასახელონ კანდიდატად თავ. დ. ა. ლორთქიფანიძე, იქაური ნაფიცი ვექილი.

ჩვენ ვიცით რა ქუთაისის ბანკის წარმომადგენელთა სიები, არა გვგონია, იქ კალისტრატე ჩიკვაიძის გარდა ვინმემ გაიმარჯვოს.

*** **ღვინო არსად იყო და ქიმაკეთა ტიკებს ბერავდნენო,** ამის არ იყოს, ხვალ 11 აპრილს ქალაქის საბჭოს მოხსენდება გამგეობის ანგარიში, თუ როგორ უნდა შევსყიდნოთ ცხენის რკინის გზა. თუ-რმე ნუ იტყვით, ბ-ნ ვერმიშევს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ საქმის „გამოჩარხვა", მართლაც გაუჩარხავს და 108 ათასი მანათი კი დაუხარჯავს, რომლიდამაც 40 ათასი მანათი კარაპეტოვისათვის მიუცია ვაგონების ფასად და 68,000 მან. წვრილმანებზე, ესე იგი ცხენებზე და მოსართავებზე. ხოლო გზის შესყიდვა კი, როგორც ყველამ უწყის, ვერ მოხერხდა. ამასა ჰქვიან სწორედ ტიკების გაბერვა!

*** **ბუქიელ ქართველების საჭიროებაზე** მრავალჯერ გვქონია ცნობა დაბეჭდილი კუკიაში ქართული სამკითხველოს უქონლობაზე და ეხლაც ვბეჭდავთ ცნობას, რომ კუკიელთა სიტყვით, საითაც დიდძალი ქართველობა სცხოვრობს, მათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სამკითხველო და წიგნის სავაჭროს ქონვა, რადგანაც მხრის მცხოვრებთ გამოლმა ერთობ შორს უხდებათ სიარული.

იმედია ამ საქმეს წერა-კითხვის გამგეობა ყურადღებას მიაქცევს და მსურველთა თხოვნას დააკმაყოფილებს.

*** **ქართული კონცერტი.** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნი კავსაძე გამართავს კონცერტს ორმოცდა-ათი კაცით აღდგომის მესამე დღეს. ხორო შეასრულებს ახალ სიმღერებ შორის არაგვისპირულ ძველ სიმღერას „ზამთარიო"-ს.

*** **ბანდეროლიან ამანათების გამო.** ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი საალდგომოდ აცხადებს, რომ ვისაც სადარბაზო ბარათის გაგზავნა უნდა ფოსტით, კონვერტში რომ ჩასდებენ, კუთხეებს ნუ მოსჭრიან ხოლმე, თორემ არ გაიგზავნებაო. ბარათები ღია კონვერტებში უნდა ეწყოს და მაშინ ღა შეიძლება ორ კაპიკიან მარკით გაიგზავნოსო.

*** **საზაფხულო ტანისამოსები ჯარში.** კავკასიის ჯარის კაცებს ნება აქვთ ამ თვის ორშაბათიდან ჩაიცვან ხოლმე საზაფხულო ტანსაცმელი და თეთრი ქუდი.

*** **სადღესასწაულო დეპეშება.** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის

კანტორის უფროსი აცხადებს, რომ სააღდგომოდ მისალოცი დეპეშები ჩვეულებრივად ადრე უნდა წარმოადგინონ კანტორაში, ვინაიდგან ძლიერ ბევრი მოგროვდება ხოლმე და შეიძლება თავისს დროზე ვერ მიიღონო. დეპეშები მიიღება 12 აპრილიდგან. სააღდგომო დეპეშებს უნდა წარაწერონ სიტყვა „მისალოცი“ და ამ ერთ სიტყვაში სატარიფო ფასი არ გამოერთმევათო.

*** **რა სჭირდება ქალაქს და ამ საჭიროების ღირებულება.** გუშინ, 9 აპრილს, ტფილისის მოურავმა წარუდგინა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს განმარტება იმის შესახებ, რაც აღმოაჩინა პოლკოვნიკის სვეჩინის და ინჟენერის ფლორინის რევიზიამ ტფილისის კეთილ მოწყობისა და სასანიტარო-საპოლიციო მდგომარეობის შესახებ. ამ განმარტებიდგან სჩანს, რომ ქალაქის კეთილ-მოწყობისათვის ქალაქის ინჟენერის აზრით და ანგარიშით საჭიროა: ნაგავის და ათას გვარი უწმინდურების გასაზიდავათ ქალაქმა შეიძინოს საკუთარი ურმები, რომლებიც ეღირება 18,000 მანეთი, გააკეთოს საზოგადო ფეხის ადგილები და მისადგომები, უკვე არსებულთა გარდა, რომელიც დაჯდება 10,000 მ., განახორციელოს საკანალიზაციო პროექტი ლინდლეისა, რასაც დასჭირდება 5.200,000 მ., გააკეთდეს საუკეთესო ქვაფენილნი, მოიკირწყლოს ყველა ქალაქის ქუჩები, რისთვისაც საჭიროა 1.500,000 მ., გაკეთდეს ახალი ხიდები—ღირებული 250,000 მ., გაფართოვდეს წყლის მილები, რომ დღეში სამ მილიონ ვედრას იძლეოდეს, რაც ლინდლეის პროექტით ეღირება, 3.000,000 მ., გამაგრებულ და უზრუნველყოფილ იქმნენ რიყე და წყლის ნაპირის ქუჩა წყალ-დიდობისაგან, რასაც მოუნდება 300,000 მან. ამ გვარათ ქალაქის კეთილ-მოწყობისათვის საჭიროაო 10,500,000 მან

*** **ათონის ქართულ ნაშთთა აღწერა.** პროფესორს ნიკოლოზ მარრს რუსულს ენაზე დაუბეჭდია „მოგზაურობა ათონისა და სინას მთამდე“ წიგნში აღწერილია ხსენებულს ადგილებში მდებარე ქართველთ ნაშთებთა ცნობები, სხვა და სხვა ძველი ქართული წიგნების აღწერანი და ზოგიც სხვა ღირს საყურადღებო ცნობებიცა.

X *** **წერილი ქართველ კათოლიკებზე.** ფრანგულ გაზეთს „ლა კრაში“ დაისტამბა სამი წერილი ქართველ კათოლიკების შესახებ. ამ წერილების დამწერი რომში (სებასტიანში) მცხოვრები ქართველ კათოლიკეთა მსწავლული ბერი მიხეილ თამარაშვილია. ეხლა ეს წერილები ქართულად ითარგმნება და „კრებულში“ დაიბეჭდება.

*** **ს. ჭარები.** კაინი და აბელი. ს. ქარებში ერთი ძრიელ გაკეთებული ოჯახია. ამ ოჯახში ოთხი ვაჟკაცი ძმა სცხოვრობს სხვათა ბიძაშვილებს შორის. ოჯახს უფროსი, ანუ მბრძანებელი, არა ჰყავდა, როგორც საზოგადოთ ყოველ ქართლის ოჯახში ერთი უფროსი ჰყავთ და ის აძლევს განკარგულებას ყოველ დილით მთელ ოჯახს. სინამ უფროსი ჰყავდა ამ ოჯახს, საქმეც კარგად მიდიოდა. ოთხი ძმა, რადგანაც ერთმანეთის მიმდევნოები იყვნენ ერთმანეთს არ ემორჩილებოდნენ და ყოველთვის ყიდვა-გაყიდვის დროს უსიამოვნობა მოსდიოდათ. ერთი ძმა მათგანი უფრო ბიროტი იყო და სხვა ძმების განკარგულებას ყოველთვის წინააღმდეგი უხდებოდა. ბოროტმა ძმამ, ერთი თავის ძმა ამას წინად ნამგლით დასჭრა ბეჭებში, მაგრამ ოჯახმა თურმე მაინც არ გამოიმეტა და არავის შეატყობინა იმის ცუდი საქციელი. იმავ დამჭრელმა ძმამ მარტის ოც. და ექვსში, თავიზე უფროს ძმას დანა დასცა მუცელში და გამოფაშვა. დაჭრილი მეორე დღესვე გარდაიცვალა. აი საქმის გარემოება როგორ ყოფილა: გარდაცვალებული თურმე ოჯახში უფროსობდა როგორც შეძლებული კაცი ამასწინათ ღვინო გაუყიდნია უმფროს, მაგრამ ჩხუბი აუტეხნია ოჯახში მკვლელს. ამ დატანებაზედ თურმე გარდაცვალებული და წინად დაჭრილი უმცროსი ძმა სიმინდს ჰყრიდნენ ძარიდგან დასაცეხვად, მკვლელი ნებას არ აძლევდა ძმებს სიმინდის დაცეხვისას. მოუვიდათ ამაზედ ლაპარაკი მკვლელს დანა ჰონდა დამალული პაიჭში; უეცრად ამოეძრო დანა და მოკვლა მოენდომებინა უმკროსი ძმისა, ის გაქცეოდა და უმფროსი ძმისთვის დაეტარებინა მუცელში. საბრალო გარდაცვალებულსაც და მკვლელსაც წვრილი შვილები დარჩენია.

მართალაძე.

*** **ს. აწერის ხევი.** სკოლის მფარველობა. ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსის კირიონის მეცადინეობით მთის ქართველებში ს. აწერის ხევში დაარსდა შარშან ერთ კლასიანი სასწავლებელი. დღესაც თავის ნაამაგდარ სკოლას არ სტოვებს უყურადღებოდ. ამას წინად გაუგზავნა ამ სასწავლებლის ბიბლიოთეკას სამოცი ცალი პატარა სხვა და სხვა ქართული წიგნები საერო და სასულიერო შინაარსისანი. აღუთქვეს ამასთანავე დახმარება შემდეგშიაც. ხოლო მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის საზოგადოების სკოლების ინსპექტორმა ევტიხი ბესარიონისძე მამინაიშვილმა ამავე სკოლას გამოუწერა ჟურნალი „ჯეჯილი“. იმედია შემდეგისთვისაც არ დააკლებენ თავიანთ წყალობას, იმ საწყალ ღარიბ სკოლას, რომელიც მივარდნილია კავკასიონის მთებ შუა პატარა ლიახვის ხეობაზედ.

*** **საჩხერე.** უსიამოვნო შეტაკება. წარსულ თვის 26 საჩხერის სამკითხველოში თ—ს ა. წერეთელს და ბ-ნ ფრენკელს მოუვიდათ პირადის უსიამოვნობის მიზეზით გამოწვეული ხმა-მაღლა ლაპარაკი, რომელიც შემდეგ კრივზედ გადავიდა, ვინაიდგან უკანასკნელმა ხის სკამი მოუქნია თავში დასაკრავათ და ცოტა არ იყოს ეს ბატონი ზარალში შეიყვანა მისმა დევ გმირულმა მოქმედებამ, და ძვირათაც დაუჯდა, რადგან სკამის ხელის წამოვლებას სრულებით საჭიროება არ თხოულობდა. დამარცხებულმა ფრენკელმა მეორე დილითვე გასწია ქუთაისში და მთელი სასამართლოები ფეხზედ დააყენა ისეთი ხელოვნურათ შეთხზული საჩივრები განაცხადა. იმან იჩივლა: წერეთელმა მომაყენა შეურაცყოფა მისთვის, რომ მისი ბიძაშვილი, რომელიც დაპატიმრებული მყავს, არ განვათავისუფლე თავდებ ქვეშო, თუ რამოდენათ მართალია ფრენკელის საჩივარი ბოლოს გამოჩნდება ყალყუმის არ იყოს, ბ. ფრენკელი თავისმა ენამ გალახა; ამას როცა იქნება მართლ-მსაჯულება დაგვანახვებს.

დუჩა

# ვაზის წამლობა*)

## რითი გვიჯობს ვუწამლოთ ვაზის ობსა და შავ ჭორს?

ვუძღვნი ძვირფას მშრომელს და დაუვიწყარ მასწავლებელს ბ. არჩილ დარეჯანაშვილს (Мильдю и блэкротъ) ავტორისაგან.

ყველაზედ დიდი ღვაწლი აქაც როგორც სხვა ამისთანა სამეურნეო ავ-კარგ გარემოებების გამოკვლევა გარდაწყვეტაში, მიუძღვის ჯერ საფრანგეთს და მერე საკუთრათ მის ქალაქ მონპელიეს და მის სამეურნეო სასწავლებელს. აქ მთელი სამი წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ და დაუღალავად სცდიდა და იკვლევდა ობის წინააღმდეგ მრავალგვარ წამლობებს ბ. კადორე საქვეყნოდ ცნობილი ნასწავლი და ამავე სკოლის დირექტორად ნამყოფ იმ დროს ახლა სამხრეთ საფრანგეთის მ... ნახეობა და მეაბრეშუმეობის ... ვარ ინსპექტორის ბ. ფოეკსის დამხედველობა დახმარებით, თუ ... ეს კარგა ხნის ამბავია, მაგრამ ... დენად საინტერესოდ მიმაჩნია ... ლა ეს, რომ ვფიქრობ მეტ... იქნება პატივცემულ მკითხვე... გავაცნოთ, თუ როგორ მიდი... ამ ცდების საქმე.

1887 წ. ქ. მონპელიეს სამე... ნეო სკოლაში გამართეს ამისა... საცდელი მინდორი, რომელ... შესდგებოდა ორი სხვა და სხვა... წისაგან.

პირველი დაყოფილი იყო ... კუთხედ, თვითო მათგანი, რომ... ბისაც შეიცავდა 7 თუ 8 რიგ... ზებს. აქ ნახმარი იყო სპილე... წმინდა ან გოგირდნარევი ნაფ... ნი (ПОРОШОКЪ). მეორეს—ა... დაყოფილ-მოწყობილს სწამლო... ნენ სითხეებით (ЖИДКОСТЯМИ ... სველი ხსნილი წამლებით). ეს... ნასკნელი მიწა გაშენებული ... მშვენივრად ნახარებ „ჟაკე... (ერთგვარი ამერიკული ვაზია) იმყოფებოდა ცოტაოდნად ნო... ადგილას და მაშასადამე ობი... ვის ძალიან ხელის შემწყობ პი... ბაში. ორთავე ნაწილებშიაც ... გილას დატოვებულ იყვნენ თვ... საცდელი კვლები სრულიად უ... ლებლად, რომლებიც დანიშ... იყვნენ შესადარებლად და ... მოწმებლად ნაწამლ კვლებთა... წელს აქ, საცდელ კვლებზედ ... იჩინა ობმა და ნაყოფი და მ... რეებიც ცოტათი დააზიანა. ნ... ლი კვლები კი დარჩნენ უ... ლად, მაგრამ ნაფშვნეულობი... წამლი კვლები ბევრით ჩამო... დებოდნენ სითხით ნაწამლებს, ... განაც ამ წელს ობი აქ საზ... დოდ სუსტად მძვინვარებდა, ... ტომ შესაძლებელი ვერ გახდა ... კვევა სითხეთა შორისაც გა... ვებისა და ღირსება-ნაკლულ... ბისა.

ესევე არ მოხდა შემდეგ ... წ. როცა გამოცდა გაიმეორეს ... ვე ნაირად და იმავე კვლე... ლებზე. ობიც ამ წელს უფრ... ლიერებული იყო. ახლა სი... ნაწამლ კვლების მნახველთ თ... ში ეცემოდათ 3 რამ.

1) ერთი ნაწილი სრულიად ... ვარდნილი.

2) ცოტა კარგად გადარჩენ...

3) საუცხოვო მცენარეები... ორმილობით, მუქ-მწვანე ფ... და სრულიად გადარჩენილ ...

ესევე მნახველნი განცხადე... დან (ეტიკეტების შემწეობით) ... ბილობდნენ, რომ პირველი, ამოვარდნილი ნაწილი იყო ... ვენებელი, რასაკვირველია ... ლებლად დატოვებული.

*) იხ «ცნობ. ფურც.» № 795.

...ორე, ე. ი. ცოტა თუ ბევრად ...ად გადარჩენილ ნაწილს შეა... ...დნენ კვლები, ნაწამლი: სპი... ...ის შაბიამნის, ლურჯი წყლის ...სხვა სითხეებით. აქვე უნდა ...იშნოთ, რომ სითხეებით ნა... ...ყველა კვლებ შორის ეს კვ... ...უფრო მდარედ და ნაკლე... ...იყვნენ გადარჩენილნი.

...ამკი, ე. ი. სრულიად გადარ... ...ი სახის მქონი კვლები იყვ... ...ნაწამლნი: ამმონიური მარილე... ...ქანგაროს და ბორდოულ სი... ...ებით.

...აც შეეხება გოგირდოვან, ანუ ...გირდო ნაფშვნეულობებით ნა... ...განყოფილებას, ეს ახლაც ...ათ იყო გადარჩენილი.

... ორი წლის ცდის მიხედ... ...რასაკვირველია, გამოდიოდა ...ოლიკური დასკვნა, რომ სპი... ...ს ჰქონია უტყუარი და ნამდვილი ...წინააღმდეგ, მაგრამ უპირატე... ...კი უნდა დავთმოთ ხსნილებს. ...ა ყველა ეს დასკვნა შედეგი ...ი წინსამხედველო და წინა... ...გასაგები იყო ქიმიკოსებისა ...იმიის მცოდნე პირებთათვის, ...ამ მაინც საჭირო იყო მესამე ...ს შეწირვაც გამოცდილების ...ლიერებლად და გასაგრძელე... ...დ. ამ წელს საშინლად მოედო ...ძვინვარებდა იქ ზემოხსენებუ... ...სენი და ახლაც, როგორც წი... ...ლებში შეეგებნენ მას პატივ... ...ულნი გამომცდელნი. ამ წელს ...ვნეულობით ნაწამლი ნაწილი ...ცვლილ იქმნა; სითხეებით ნა... ...ი კი იგივე დარჩა, რომელიც ...ფილ იქმნა და იწამლა: ლუ... ...ანუ ზეტის წყლის, ბორდოული, ...მნის, ჟანგართს, ამმონიურის, ...მან და ნახშირ-მჟავი ბორაკის, ...ამმონიურ მარილების და ეგ... ...წოდებულ ბიტტერუას სითხე... ...და დატოვებულ იქმნა კი... ...რასაკვირველია, მაჩვენებელი ...ოც, რომელიც სრულიად ...არდნილი უეტივეტოდაც შო... ...ვანვე ემჩნეოდა. სხვა კვლები ...ადარჩნენ საზოგადოდ კვლა... ...ებურად; მაგრამ რამდენადაც ...ება გადიოდა, იმდენად ამმო... ...მარილების, ჟანგართს და ბორ... ...ხსნილებით, ანუ სითხეებით ...ლი კვლები აშკარად ერჩეო... ...დანარჩენებიდგან თავიანთის ...ობესობით. წელს ის ცვლი... ...ანი მოხდნენ მხოლოდ, რომ ...ჯმა წყალმა ახლა უფრო ბე... ...კარგა იმოქმედა, ვიდრე წი... ...ლებში. გარდა ამისა, ბიტტე... ...სითხით ნაწამლი კვალიც ...ნებელივით ამოვარდა.

...უ შევუერთებთ და შევადარებთ ...ა ამ სამი წლის შედეგებს, ...დასკვნა გამოდის, რომ მაშასა... ...სამი საუკეთესო წამლობა ყოფი... ...ეს გახლავთ: ამმონიური მარი-დების, ჟანგართს და ბორდოული სითხეები.

გ. ლეხურელი.

(შემდეგი იქნება)

## ტფილისის გუბ. თავად აზნაურთა საგანგებო კრება.

9 აპრილს მოხდა ტფილისის გუბ. თავ.-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელიც დაიწყო დილის 12 ნახევარ საათზედ. თავმჯდომარეობდა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი საგინაშვილი. პირველად განხილულ იქმნა ტფილისის გუბერნიაში მიწების გამიჯვნის დაჩქარების საქმე.

თავ. ი. გ. ამილახვარი. თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ 4 მარტს დამავალა მომეწვია მცოდნე კაცები, გამიჯვნის საქმის შესახებ მომელაპარაკნა და იმათთან ერთად შემემუშავებინა ის, რაც საჭიროა ამ საქმისათვის, ეს მონდობილება მე შევასრულე: მოვიწვიე რამდენიმე კაცი, მათ შორის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბ-ნი სმიტენი, პალატის წევრი, რომელიც გამიჯვნის საქმეებს განაგებს, ბ ნი დოლგოვი, საყვარელიძე და სხვანი და იმათის დახმარებით შევიმუშავეთ 1897 წელს გამოცემულ ცნობების დასამატებელი წესები ამიერკავკასიაში მიწების გამიჯვნის დასაჩქარებლად. გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, წაიკითხოთ ეხლა ეს წესები და აცნობოთ იგი საზოგადო კრებას.

წაკითხულ იქმნა წესები და კრებამ დაადგინა: ეს საგანი განიხილოს მაშინ, როდესაც ამ კრებისათვის წარსადგენის საგნების განხილვას დაამთავრებს.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ. მოახსენა ეს საგანი კრებას თავ. ვეზირიშვილმა.

ცოტაოდენის კამათის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ.

კრებამ დაადგინა აგრეთვე აღძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაშიაც შემოღებულ იქმნას წესი, რომლითაც ბანკს ნება ექმნება ერთის კაცის მიერ ხელ მოწერილ თამასუქით გასცეს სესხი.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სასწავლებლებში ერეკლეს სახელობის სტიპენდიების დაარსებისა და ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის ერეკლეს სახელწოდების საქმის განხილვა. კომისიას დაუდგენია სტიპენდიები დაარსებულ იქმნას იმ შემოსავლიდგან, რომელსაც თავად-აზნაურთა სახლი მისცემს ვალების გასტუმრების შემდეგ. ამასთან საბოლოოდ სტიპენდიების საქმის გარდაწყვეტა მიენდოს იმავე კომისიას. რაც შეეხება სათავად-აზნაურო სკოლისათვის ერეკლეს სახელწოდებას, კომისიას უცვნია, რომ ვინაიდგან სკოლას განაგებს „ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება“, ამიტომ სკოლის სახელის შეცვლაც მხოლოდ ამ საზოგადოებას შეუძლიან და არა თავად-აზნაურობას.

კრებამ კომისიის პირველი წინადადება შეიწყნარა, ხოლო სკოლის სახელწოდების შესახებ დაადგინა სთხოვოს ზემოხსენებულ საზოგადოებას დაარქვას სათავად-აზნაურო სკოლას მეფე ერეკლეს სახელი.

დასასრულ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა ანგარიში იმ კომისიისა, რომელიც თავად-აზნაურთა ქონებას განაგებს. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, ამ ქონებას შემოსავალი ჰქონდა სულ 72,187 მ. 99 კ., თუ მივაკეცეთ 1897 წ. ნაშთი 1823 მ. 45 კ., ხარჯი— 69,790 მ. 12 კ. დარჩენიათ 2447 მ. 87 კ., რომლიდანაც 2.000 მ. სესხად მიუციათ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის. კომისიის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით სათავად აზნაურო ქონებას ამა მიმდინარე წელს შემოსავალი ექმნება 65,880 მ. ამ რიგად 1900 წლისთვის დარჩება 10,000 მანეთიო.

## ქართველი კლასიკები

La crax წმიდისა მამისა ჩვენისა ისე წილკნელის.

უფსკრულ განუცდელ,
დღეს მართლისა მეღმე,
დიდი მთაები, ეპისკოპოზი ისე,
უხვად მწყურნებს-ჭვლთვს,
მუხნარს გვალულს სხუმისე,
ქსანს კვერთხით ითრევს,
მოდლინდელად რუისე
მტვერს წილკანს დაჭკრის,
აღისახულებს ზეცისე.

წმ. აბიბოს ნეკრესელს

აბიბოს მწყემსი,
ქართველთა ანგელოზი,
ეპისკოპოზი, ნეკრესის მღვდელ მთავარი წამე,
მეცმეცხლეთ არღვევს
თვით სისხლსა იმღვდელმოსებს,
აჲელს განტვინვით სისხლს ეზაქარიგმის.
ნივთსა ნივთთა რთავს,
სულსა ადავლენს ღვთისად.

თქმული ნიკოლოზ ტფილელის მიერ.

## სამეურნეო ცნობები

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)
(შემდეგი *)

გერხვა (ქართული) კაგამახ-სპიტაკ, (სომხური) კვახ (თათრული) აგიშ(აფხაზური) გედი ბელას (ოსური) ბელოლისტკა (რუსული) პოპულუს ალბა, (ლათინური). მცენარე გვარობს ზოგიერთ ადგილას ისიც ტყეებში და მინდვრებში, უყვარს ნოტიო ადგილები, მცენარე ერთ სახლობიანია, ე. ი. დედალი და მამალი ყვავილები იმყოფებიან იმავე ერთ ხეზე; როგორც ხე, ისე მისი ყლორტები, ტოტები და ფოთლებიც ქვემოთა მხარე მოთეთრო ფერისაა, აქვს მსხვილი და ამოჭრილი ფოთლები, ამ ხეს სხვა ხეებივით არა აქვს მაგარი გული, ბევრი მათში ფუღუროა, ამისათვის ჩვენ საქართველოში მეტადრე ზაქათლის მაზრაში, ამითი ამზადებენ დიდრონ ნავებს, ყურძნის დასაწურად ან კიდევ ზამთრობით შიგ ჰყრიან ბზეს, რომელშიაც ჰკვებავენ საქონელს, ან კიდევ დიდრონ კასრებს, რომელშიდაც ინახავენ ხორბალს: პურს, ქერს, ფეტვს და სხვა. აგრეთვე მის მასალით აკეთებენ წისქვილის ღარებს. ხონჩებს, ვარცლებს და სხ. ერთი სიტყვით ხეს დიდი მოთხოვნილება აქვს მეურნეობაში. მის ნეკერით (ახალგაზრდა ყლორტებით) ზამთრობით ჰკვებავენ საქონელს, ცხვარს და თხებს. როგორც შნოიანი ხე მას ხშირად რგავენ ეზოებში ჩრდილოს გულისათვის. მრავლდება: ტოტებით და ბარტყებით, გაზაფხულობით და შამოდგომობით.

თელა, თელ ამუში (ქართული, იმერული) თეგი, თეგა, თეგაკი (სომხური) კარაგაჩ (თათრული) სვილდზ (ოსური) ახეც (აფხაზური) ხარალა, წიგი, ნიგე (ლეკური). ვიაზ, ილიმ (რუსული) ულმუს კამპესტრის (ლათინური) ბევრი სხვა-და-სხვა ჯურისაა, რომლებიც ერჩევიან ერთი ერთმანეთს ფოთლებით, ყლორტების ტოტების აგებულებითი და დრო ყვავილისა, მაგრამ მათში ითვლება ერთი შესანიშნავი თელა, რომელიც ზემოდამ შემოსილია პრობკის მზგავსი ქერქით, ამისათვის მას ლათინურად უწოდებენ „ულმუს ზუბერუზუმ“. ყველა ჯურა თელა გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, ტყეებში და მინდვრებში. უყვარს ცოტათი ნოტიო ადგილები, ყლორტები ტოტები მუქ მოწითალო ფერისა, აქვს მოგრძელო და ვიწრო მწვანე ფოთლები, როგორც მაგარი და გამძლე ხე მის მასალას დიდი მოთ-

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 792.

ხოვნილობა აქვს მეურნეობაში, მაგალითად აკეთებენ ურმის და ეტლების თვლებს, ურმებს, პოვოსკებს, გემების გასაკეთებლად და შენობების ასაგებლად. ცოცხლობს სამას წლამდისინ. მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

იფანი, იფნი (ქართული, იმერული) ხაცი (სომხური) გევრუშ (თათრული) კერძ (ოსური) აჩამხა (აბხაზური) გოუნრუჩ, რირი, კინატასხოხო (ლეკური) იასენ (რუსული) ფრაქსინუს ექცელზიორ (ლათინური) ძალიან ბევრი სხვა-და-სხვა ჯურისაა, რომლებიც ერჩევიან ერთი-ერთმანეთს ფოთლების, ყლორტების, ტოტების აგებულებით, დრო ყვავილისა და სხვა. გვაროშს მშრალ ნიადაგებზედაც, არ ეშინიან არც დიდი სიცივეებისა, არც დიდი სიცხეებისა, მცენარე ორ სახლობიანია, ე. ი. ერთ ხეზედ იმყოფება მამალი ყვავილები, მეორე ხეზე დედალი. (ЦВѢТЫ ДВУДОМНЫЕ) ამ მცენარეს ჯერ გამოაქვს ყვავილი, მერე ფოთლები. როგორც მაგარი და გამძლე ხე, მის მასალას მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება. მის ფოთლები, ნაყოფი და ქერქი მწარე გემოსია, ქერქს და ნაყოფს ხმარობენ ციებ-ცხელების და ჭიის წინააღმდეგ, ფოთოლს ხმარობენ ქარების წინააღმდეგ. ხე ცოცხლობს სამას წლამდისინ. მრავლდება თესლით, გაზაფხულობით და შემოდგომობით, ხოლო თესლი ამოდის მეორე წელიწადს დათესვის შემდეგ.

არჩილ და[...]ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## გასართობი

უებარი წამალი. ერთხელ არსენას ცხადად გაგარდნილს გზას შემოუხვდა ორი გორელი სოვდაგარი. იცნეს არსენა და ორთავეს ფეხი შემოუკვეცათ— ძირს ჩაჯდნენ რადა, ალაპყრეს შიშით სავსე თვალები და „ტეროღორმის“ ჩივჩივი დაიწყეს.

— ფული, შეჰყვირა არსენამ.

სომხებმა ამოიღეს ჯიბიდან ქისები, ხოლო იდლიებში რაც ჰქონდათ იმისთვის ხელი არ უხლიათ ჯიბიდან ფულის ამოღების დროს რადაც ორი შუშა ამჭოუვა ერთს—ეს რა არის? ჰკითხა არსენამ. სომეხს შეეშინდა, მაგრამ მალე გონს მოვიდა და მგზის მოგატყუილოთ, უთხრა.

შუშაში, კნიაზჯან, შაგდაგების წყალია. ერთში ისეთი წამალია. რომ რაც გინდა ჭრილობა იყოს მოაცხე და მაშინათვე მოარჩენს, მეორე კი რომ დალიო, რაც გინდ გუშის ტკივილი გქონდეს გაგივლის-

არსენამ შეატყო, რომ სომეხი ატყუებდა, გამოართვა შუშები და უსუნა, ერთი პიტნის და მეორეში გოფმანის წვეთები იყო

— აბა ერთი გავშინჯო ეს წამალი, სთქვა არსენამ, და მოჰკიდა ორივე სომეხს ხელი და ისე მძლავრად მიაჯახუნებინა ერთი მეორეს თავი, რომ ორთავეს სისხლი წასკდათ.

— აბა ეხლა დაჭრილზე წაიცხეთ და მოირჩინეთ, დაცინვით მიუგო არსენამ და გასწია თავისთვის. სომხები კი ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ ასე უხიფათოდ გადარჩენ „გიჟ არსენას“ და შინ რომ დაბრუნდენ, კვეხულობდენ კიდეც „ჩვენ არსენას სულ კუდით ქვა გასროლინეთო!

## რჩეული აზრები

✦ ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენის უბედურობისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჩვენის გონებით კი არ ვცხოვრობთ არამედ სხვის წახედულობით.

✦ ჩვენ ჯდე მუდამ ვცდილობთ, მაგრამ სრული განახლება ძალ-არ-გვიძს.

✦ ჩვენ ძრიელ კარგად ვიცით გზანი ცისაკენ, მაგრამ ამ სოფლის გზა ხშირად გვერევა.

✦ ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ მოულოდნელ რასმე მზად დაუხვდეთ, ხშირის ფიქრით და მოსაზრებით უნდა მივაღწიოთ ისეთ ყოფას, რომ ყოველს გარემოებასა თუ უბედობაში, გამოუცდელსავით პირ ღია არ ვიყოთ.

✦ ყოველთვის ის წრე კი არ არის მართალი, რომელიც უფრო ბევრ პირთაგან შესდგება.

## ბრძნული თქმულება

პატივსა და სიმუდვილეზე.

სენეკა. სხვა ისე არასოდეს პატივს არა გვცემს, როგორც ჩვენ თვითონ ჩვენ თავსაო.

პომპადურ. პატივისცემა ისეთი ხარკა, რომელსაც არამზადაც მიუზდავს ხოლმე სათნოებას.

მონტენ. ბევრი ავკაცობა წარმოსდგება იქიდან, რომ თავის პატივი არ იციან, მაგრამ უფრო ბევრი იმიტომ, რომ ბევრი პატივი უნდა.

ბუატ. თანამედროვეთა პატივისცემა ბევრად უკეთესია, ვიდრე შთამომავლობის განცვიფრება.

ბუატ. არამზადებს, გაიძვერებს და სულელებს, ყოველთვის სძულთ ერთმანერთი.

# წვრილი ამბავი

ადამიანის გამძლეობა. მეურნე, მებატონე და საზოგადოთ სოფლის კაცი ორთა შუა რიცხვად სძლებს 66 წელიწადი. კალატოზი, დურგალი და მაგვარ ხელობისანი სძლებენ 54 წლამდე, ვინც ხელოვნებით სცხოვრობს იგი 52 წლამდე სძლებს, ვინც კანცელარიის მოხელენი და სხვა 56 წლამდე, ხელოსნები კი ყველაზე ნაკლებ სძლებენ 47—48 წლამდე.

## საერთო ნათესაობა

ეჭვი არ არის, რომ ქვეყნად სუფევს საერთო ნათესაობა და სისხლ-ხორციანობა, სწორედ ეგ არის მიზეზი, რომ ჩვენ საერთოდ გვ[...]ყის ხოლმე ისეთი მოვლენა ან ამბავი, რომ კაცობრიობას ამხობს და საზოგადოდ კაცის ღირსებას ამცირებს.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

7 აპრილი

**მოსკოვი.** სამაზრო საერობო კრებაზედ განაცხადეს, რომ ერთმა კაცმა, რომელსაც არა ჰსურს თავისი ვინაობის გამოცხადება, 100,000 მანეთი შესწირა 200 განუკურნებელ ავადმყოფთათვის შენობის ასაგებადაო.

**ლონდონი.** ჩარლზ ბერესფორდმა სთქვა გუშინ იორკში კონსერვატორთა კრებაზედ, რომ ჩინეთის გამო რუსეთთან ომის შიში ყოველივე საფუძველს მოკლებულია.

**შერბურგი.** ადმირალმა ბიენემემ გემზედ, „Amiral Bhamer“ დიდი ნადიმი გარდაიხადა, რომელსაც დაესწრო რუსეთის კრეისერის „კრეისერ“—უფროსი. რუსეთისა და საფრანგეთის ფლოტების სადღეგრძელოები დალიეს.

**პეტერბურგი.** რადგან ძლიერ კარგათ მიდის ცხენების ყიდვის საქმე მოუსავლობისაგან დაზარალებულ ადგილების მცხოვრებთათვის, შინაგან საქმეთა მინისტრმა ახალი განკარგულება მოახდინა, კიდევ იყიდონ 28,000 სული ცხენი. ამნაირად ვოლგა-კამის მხარეს ერთბაშად მიეცემა 70,000 სულ ცხენამდე. ნასყიდი ცხენების მომეტებული ნაწილი უკვე თავისს ადგილას არის.

**პარიზი.** ზოგიერთ გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმების წინააღმდეგ, სარწმუნო წყაროებიდგან იუწყებიან, რომ საკასაციო სასამართლოს არა დაუდგენია-რა გუშინ მოწმეების ერთი მეორესთან პირის-პირ წაყენების შესახებო. აგრეთვე სარწმუნოდ ამბობენ, რომ ბალო-ბოპრე მოხსენებას დაამთავრებს 17 აპრილსაო. ამისათვის სასამართლოს განჩინების გამოცხადება შეიძლება მაისის პირველ კვირის დამლევსო. ხმა არის გავრცელებული, რომ სასამართლოს წევრთა მომეტებული ნაწილი საქმის გადასინჯვის წინააღმდეგიაო.

**პარიზი.** „ფიგარო“ ბეჭდავს ლებრენ-რენოსა და სხვა აფიცრების ჩვენებას, რომელნიც ამ[...] რომ ვიცოდით, რა სთქვა [...] ფუსმა მაშინვე, როცა ლ[...] აპყარეს მასო. ლებრენ-რენ[...] ვენა, რომ დრეიფუსმა, გვა[...] ნებდა-რა, რომ დამნაშავე[...] ვარო, დაუმატაო: „მე უდან[...] ლო ვარ. სამის წლის გან[...] ბაში გაიგებენ ჩემს უდანაშ[...] ბას. მინისტრმა იცის ეს. დ[...] ტიმაც სთქვა, რომ მინისტრმა[...] ესაო. მინისტრმა იცის, რომ[...] მანიას თუ ვაძლევდი საბუთ[...] ღალდებს, ეს ქაღალდები უ[...] ნელო იყო, და ამიტომ ვაძლ[...] რომ სამაგიეროდ უფრო [...] მნიშვნელოვანი ქაღალდები [...] ლოვო“. ლებრენ-რონომ ი[...] რაკა შემდეგ, რომ მერმე მე [...] თან და პერიესთან ვიყავი და [...] ძანეს არა მეთქვა-რა ამ ს[...] შესახებაო.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ[...]

მივიღეთ სწორეთ იმ ფირმ[...] და ისეთივე საიმედო, რო[...] წარსულ წლებში, ბაღ[...] და ევროპიული ჯიშისა და[...] ლი აბრეშუმის თესლი. მსურ[...] შეუძლიანთ მოგვმართონ ჯ[...] რობით: ოზურგეთში, ახალს[...] და ბათუმში ჩვენს წიგნის[...] ზიებს, რომლებთაც და[...] ძლიერ იაფად. საიმედო პირ[...] ლევთ ნისიათაც. ამასთანავ[...] დით სულ მცირე ფასათ ბ[...] ნერგს და წიგნაკებს აბრ[...] მოვლა მოშენებაზე.

(20—14) ძმ. თავართქილა[...]

იყიდება „ცნობის ფურცლის“ რედ[...] იაფ-ფასიანი სახალხო გამოცემანი: თავ. ილია ჭავჭავაძე . ალექსანდრე ეპისკოპოსი სპარსეთის მეფე და ქარ[...] ველი ტომი . . . პატარა ბიბლიოთეკა . . . ვინც ცალს ას გამოიწერ[...] ნეთზე დაეთმობა ორი [...] მსურველს მიჰმართავენ „[...] ფურცლის“ რედაქციას. (30[...]

გამოვიდა და ისყიდებ[...] წერა-კითხვის გამ. საზოგ. მაღაზიაში

იმერული სცენებ[...]

შეკრებილი კ. მესხის [...]

ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლ[...] ქციიდან გამოიწერს ერ[...] 25 ცალს, იმას ერთ მანათ[...] ეთმობა. (12[...]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Апрѣля 1899 г. სტ. „ივ. ფურც.“) ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი შ.